ბრძანება:**ბ34.34213491**
თარიღი:**15/12/2021**

სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - თამაზ ფოლოდაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე'

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე = ნინო ჭიჭინაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) კომისიის წევრები :

გ.ა.) **ვასილ ბერუაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ.ბ) **ნინო ლაზვიაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ.გ) **ნინო ჯავაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ.დ) **მარეხი ტაკაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მე-4 რანგის მე-2 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

გ.ე) **ილია ციციშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ.ვ) **ნინო ჟორდანია** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა ზრუნვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი.

გ.ზ) **ჯონდო მუზაშვილი-** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დ) კომისიის მდივანი - სოფიო ბოჭორაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2. სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების და შესაბამისი დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის და „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის № 6 დადგენილების შესაბამისად

3. კომისიის კომპეტენცია

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება პროგრამით გათვალისწინებული მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება სამედიცინო საჭიროების დაფინანსების, სოციალური დახმარების გაცემისა და სხვა სერვისების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე.

4. კომისიის ხელმძღვანელობა

1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას, იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს;

ბ) კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების საქმიანობას;

გ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;

დ) დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს;

ე) აკონტროლებს კომისიის სხდომების დღის წესრიგის და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში.

5. კომისიის წევრების უფლებამოსილება

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) კომისიის სხდომაზე დააყენოს წინადადებები, მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში და განხილული საკითხების კენჭისყრაში;

ბ) დააფიქსიროს განსხვავებული აზრი კომისიაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

2. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;

ბ) შეასრულოს კომისიის დავალებები;

გ) წარუდგინოს კომისიას ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ.

3. კომისიის წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისგან, თუ ცნობილი გახდა ან/და დადასტურდა მისი პირადი ინტერესი ან/და არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საკითხის გადაწყვეტაზე.

4. კომისიას ჰყავს მდივანი –იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელიც არ არის კომისიის წევრი.

5. კომისიის მდივანი:

ა) ახორციელებს კომისიის სხდომების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე;

გ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;

დ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

6. კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს კომისიის სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომა იმართება კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია იხილავს კომისიის წევრებთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

4. კომისიაზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიძლება დამატებით შეიტანოს საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული კომისიის წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.

5. კომისიის სხდომას, კომისიის მოწვევით, ესწრება და განხილვაში მონაწილეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იმ მაჟორიტარი ოლქიდან, რომლის ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული სოციალური დახმარების მიმღები.

6. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით/ ხმის უფლების გარეშე შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და კომისიის მდივანი.

7. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი არიან მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილება და ჯანდაცვის განყოფილება მათდამი დაქვემდებარებული საკითხების შესაბამისად.

8. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მარტის №ს-506 ბრძანება.

9. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.№17) კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი